დამთავრდა ფეხბურთის სეზონი
თასი გადაეცა მოსკოვის "სპარტაკს"

ფეხბურთში "სსრ კავშირის თასის" გათამაშების ფინალს კვირას 20 ოქტომბერს, "დინამოს" მოსკოვის სტადიონზე 80 ათასი მაყურებელი დაესწრო. 16 უძლიერესი გუნდის შეუპოვარ ბრძოლაში, რამაც უდიდესი სპორტული ინტერესი გამოიწვია, ერთმანეთს ეცილებოდნენ საპატიო პრიზის მიღების უფლებას და მხოლოდ ორნი – მოსკოვის "სპარტაკი" და თბილისის "დინამო" – გავიდნენ ფინალში. მათმა შეხვედრამ შეაჯამა ორი კვირის დაძაბული ტურნირი.

თასის გათამაშებაში მოსკოველებმაც და თბილისელებმაც თავი გვიჩვენეს პირველხარისხოვან გუნდებად. ქართველ ფეხბურთელებს წილად ხვდათ უფრო ძნელი გამარჯვებები სერიოზულ მოწინააღმდეგეებზე, მათ შორის მოსკოვის "ტორპედოზე", რომელმაც დაამარცხა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი "ცდკა".

მსაჯ დიმიტრიევის სასტვენის ხმისთანავე სპარტაკელები ეკვეთნენ "დინამოს" კარს და განუწყვეტლივ იერიშები მიჰქონდათ. უკვე მეცხრე წუთზე კონოვმა შესძლო ანგარიშის გახსნა. მხოლოდ ამის შემდეგ "გამოცოცხლდნენ" დინამოელები. არ გავიდა 6 წუთიც და ღოღობერიძემ ძლიერი ირიბი დარტყმით კარის გასწვრივ გაიტანა გოლი. თამაშმა მწვავე ხასიათი მიიღო. იერიშები ერთიმეორეს მოსდევდნენ ორივე მხრივ, მაგრამ მაინც საგრძნობი იყო მოსკოველთა უპირატესობა, რომლებმაც ამ მატჩში განსაკუთრებული შეუპოვრობა და გამარჯვების სურვილი გამოამჟღავნეს. მხოლოდ დამცველ ე. სოკოლოვის შეცდომამ საშუალება მისცა ანთაძეს 22–ე წუთზე გაედიდებინა ანგარიში 2:1 "დინამოს" სასარგებლოდ. სპარტაკელებს დაემუქრა წაგების საფრთხე. მათ გადაჭრით გადაიტანეს თამაში ქართველ ფეხბურთელთა ნახევარზე და 8 წუთით ადრე პირველი ტაიმის დამთავრებამდე გლაზკოვმა გაათანაბრა ანგარიში.

მეორე ტაიმმა, რომელიც ასევე სწრაფად მიმდინარეობდა, შედეგი არ გამოიღო. დაინიშნა დამატებითი დრო და უკვე მე–8 წუთზე კონოვმა გაიტანა გოლი, რომელმაც გადასწყვიტა ამ დასკვნითი მატჩის ბედი.

მაყურებელთა აღფრთოვანებული ტაშით მოსკოვის "სპარტაკის" გუნდს გადაეცა თასი – ვერცხლით მოპირკეთებული ბროლის ვაზა და პირველი ხარისხის დიპლომი, ხოლო თბილისის "დინამოს" გუნდს – მეორე ხარისხის დიპლომი.

ორივე გუნდის კაპიტნებმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ვ. სოკოლოვმა და ბ. პაიჭაძემ დაუშვეს 1946 წლის მდიდარი მოვლენებით აღსავსე საფეხბურთო სეზონის ალამი (საკდესი).

22 ოქტომბერი, 1946 წ.